№ 266 დეკემბერი 14, ხუთშაბათი 1889 დეკემბერი 14, ხუთშაბათი № 266

# ივერია

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჭუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

კნ. ანნა ზაზას ასული აბაშიძისა და სიმონ და ნიკოლოზ აბაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ პირველი ქმრისა და დანარჩენნი ძმისა თ. ლევან დიმიტრის აბაშიძის გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე, 15 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ს. ზემოქალას.

## „ივერია“

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაკვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მომავალ 1889 წლის იანვრიდგან ჟურნალი „თეატრი“ გამოვა სრულიად სხვა სახით და სხვა პირთა მონაწილეობით რედაქციაში. აგრეთვე აღთქმული გვაქვს უკეთესთა ქართველთა მწერალთა თანამშრომლობა ჟურნალში. ჟურნალის უმთავრესი დანიშნულება იქნება მისცეს წარმატება ჩვენს იმ გვარს ლიტერატურას, რომელსაც ექმნება სამკვიდრო მნიშვნელობა და ექმნება ხასიათი არა მარტო დღიური, არამედ მომავლისათვისაც. ჟურნალს აგრეთვე მიღებული აქვს ზომიერება, რომ შესცვალოს და შეავსოს თავისი პროგრამა დროებისა და გარემოების მოთხოვნილების დაგვარად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ამ ადრესით: Въ книжный магазинъ Г. Чарквiани и Р. Панцхава.

ქუთაისში: ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მოსე ნათაძესთან.

გორში: ილია ნატროშვილთან.

სენაკში: სამსონ ყიფიანთან.

ზუგდიდში: ექიმ აბელ იაშვილთან.

ახალციხეს: ზაალ ზაალოვთან.

(6—6)

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, სამშაბათს, ქართულს თეატრში წარმოადგინეს აკაკი წერეთლის ხუთ-მოქმედებიანი და ექვს-სურათიანი ახალი კომედია: „გაიძვერები“. მშვენიერად თამაშობდნენ განსაკუთრებით სვიმონიძე სოსიკა იმერელის როლს, აბაშიძე—კარაპეტასას და მიქელაძე—გურულისას. საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა, თუმცა-კი ალაგ-ალაგ ეტყობოდათ, რომ არტისტებს კარგად ვერ მოესწროთ როლების დასწავლა. ქ-ნს საფაროვისასაც არა უჭირდა-რა, თუმცა-კი ამ არტისტმა-ქალმა ამ ბოლოს დროს ახირებულის როლების თამაშობა დაიწყო, ისეთებისა, რომელიც არც იმის ამპლუას შეეფერება და არც ნიჭს. ამ წარმოდგენაშიაც მკითხავად გადაქცეულიყო. ქ-ნს საფაროვისას, რამდენადაც ვიცით, ისა ჰგონია ვგონებთ იძულებულს ამისთანა როლები იკისროს, რომ ქართულს სცენაზედ არტისტ-ქალების მხრივ ამ ჟამად დიდი სიღარიბეა და, ამას გარდა, ის ორიოდენიც, ვინც აქამდე თამაშობდნენ, ან სხვაგან არიან და ან ავად იმყოფებიან. სწორედ საკვირველია, რომ ჩვენს სცენას აგერ ათი თორმეტი წელიწადია ერთი ფარსაგი მოთამაშე ქალი აღარ გამოსჩენია და არც არავინ შედის სცენაზედ, თუმცა არ ვიცით-კი რა მიზეზით. ახალს პიესაზედ აქ ჯერ-ჯერობით არას ვიტყვით იმის მეტს, რომ ზოგიერთი სცენა სწორედ ხელოვნურად და აკაკისებურად არის დაწერილი და არა-ერთხელაც ასტეხა გულ-მართალი სიცილი საზოგადოებაში. პიესას დაწვრილებით შემდეგ გავარჩევთ. თეატრში ხალხი საკმაოდ დაესწრო, თუმცა უფრო მეტის იმედი-კი გვქონდა.

*** კალენდრების სეზონი დადგა სწორედ. სამი კალენდარი უკვე გამოვიდა ქართულს ენაზედ—ორი გუნიასი და ერთიც ხელაძისა. აი დღეს კიდევ მოგვივიდა მეოთხე კალენდარი—კედლისა, გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავას ქართულის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული. ეს მეორე გამოცემა უფრო უკეთ არის შედგენილი და შევსებულიც, ვიდრე შარშანდელი იყო. კალენდარში, სხვათა საკალენდარო ცნობათა გარდა, ჩართულია ისტორიული ცნობები, ქართველთა წმიდათა მოკლე ცხოვრება, დამაკვირდიდგანა და ნაკვესიდგან ამოღებული ადგილები, ქართული სამზარეულო და სხვ. კალენდარი შარშანდელ ფასადვე ჰღირს, ორი აბაზი. როგორც შევიტყვეთ, გრ. ჩარკვიანისავე სტამბაში იბეჭდება მეხუთე კალენდარიც ქართულს ენაზედ 1890 წ. მხატვრობით. ამ გამოცემას ეწოდება „საერო კალენდარი“. ამ კალენდარში ჩართული იქნება თურმე მცირე მოთხრობა მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის საქართველოში მობრძანებისა, ქრონოლოგიური მიმოხილვა 1888 და 1889 წწ., ქართულის მაღაზიის ანგარიში 1878 წლიდგან, როდესაც დაარსდა ეს მაღაზია, 1890 წლამდე, სურათი წმ. ნინოსი, მეტეხის ტაძრისა, ბოდბის მონასტრისა და წმ. ნინოს საფლავისა, მაცხოვარისა მოციქულებით, შოთა რუსთაველისა, პლატონ იოსელიანისა, პარიჟის მსოფლიო და კავკასიის გამოფენისა და სხვ.

*** ტფილისის სპარსეთის ელჩი მირზა-მუინულ-ვეზირე მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის ბრძანებით დანიშნულ იქმნა სპარსეთის ელჩად ლონდონში, მხოლოდ იმის ალაგას დაინიშნა ტფილისის ელჩად პეტერბურგის სპარსეთის საელჩოს წევრი რიზა-ხანი, რომელსაც ტფილისში იანვრის პირველ რიცხვებში მოელიან. მუინულ-ვეზირეც ამავე ხანში გაემგზავრება ტფილისიდგან ლონდონს.

*** ამ თთვის 9 ვერაზე მცხოვრებელ ზმიოვისას ფოსტიდგან გამოსვლის შემდეგ ვიღამაც ამოაცალა თურმე ბაქოდგან გამოგზავნილი იმის შვილის წიგნი. პოლიციამ ამ ქურდს ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერას გახდარა. ზმიოვისამ პოლიციას წარუდგინა აგრეთვე იმ ქურდის ბარათი, რომელიც ფოსტით მიუღია წერილის დაკარგვის მეორე დღეს. ქურდი ამ წე-

# ფელეტონი

### ძეგლის დება

მეფე გიორგი ბრწყინვალისა.

### VI *)

თუმცა ადგილობრივს ადმინისტრატიულ გამგეობაში ხევის-ბერი ძლიერ მაღლა არ იდგა, მაგრამ დიად თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა და სამხედრო საქმეში ფრიად ბევრი ეკითხებოდა. ჯერ ერთი ისა, რომ ხევის-ბერი ლაშქრის უფროსია, დროშა უპყრია და მთელს თემს წინამძღოლობს. მეორედ კიდევ—თავის ხევში საკუთარი ციხე აქვს, თითონაც და გვარიც მეტად პატივდებულია. ძეგლის დებაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ამ ხშირად ურჩსა და ლაღს „ლაშქართა თავადს“.

სისხლით ანუ ღირსებით ხევის-ბერი მოსამსახურე გამგებელს უდრის. ორნივე ერთსა და იმავე იერარქიულ საფეხურზედ სდგანან. ამას სისხლის რაოდენობა ამტკიცებს: უკეთუ „ქვეყანა“ (общество) მოჰკლავდა ხევის-ბერსა, ჯარიმა და გარდასახადი ისეთივე უნდა წართმეოდა, როგორც მოსამსახურე-გამგებლის მოკლაში (მუხ. ც), ეს ერთი საბუთი. მეორე კიდევ ისა, რომ ხევის ბერი ხევის-ბრის მოკვლისათვის მოსამსახურე-გამგებლის სისხლს იხდიდა,—ექვს ათას თეთრს (მუხ. ვ). სისხლს გარდა, ადმინისტრატიული სასჯელიც ერთი და იგივე იყო: სამ წლობით გარდახვეწა, მამულის სახევროდ შეტანა და ეგრედ წოდებული სახლის ჩამორთმევა. ერისთავსა და გამგებელს უნდა ჩაებარათ გარდახვეწილის სახლი.

თვით სახლი და ოჯახიც ხევის-ბერისა გასაკუთრებულის ღირსებით შემკულია. ოჯახის თითოეული წევრი განსხვავდება სხვა წოდების კაცისაგან და ეს მაშინაც-კი, როცა პირადად იგი წევრი შესანიშნავს არაფერს წარმოადგენს. საკმაოა ხევის-ბერის ოჯახს ეკუთვნოდე, იმის „გაუყოფარი“ იყო, მასთან ერთ ჭერს ქვეშ სცხოვრობდე, და „სისხლიც“ სხვა გექნება, დიდება და პატივი განსხვავებული გეპყრობა. ეს საოჯახო ღირსება მეტად თვალსაჩინოდ არის აღიარებული და საყურადღებო კიდევ ის აა, რომამ ღირსებას ზედ ერთვის „გვარის“ ღირსებაც: ოჯახსა და გვარს თითქო ხელ-შეკრულობა დაუდვიათ, ერთად მოქმედებენ, ერთის გზა-კვალით მსვლელობენ და ხევის-ბერობასაც საკუთარს ფერსა სდებენ. ამ ნაირად იგი ხევის-ბერობა მთლად დამყარებულია საოჯახო და საგვარეულო საფუძველზედ (семейно-родовое начало). გარდა ამისა, სხვა ხასიათიც ატყვია ამ იურიდიულს დაწესებულებას, სახელდობრ ისა, რომ რამდენადაც ოჯახს შორდებით და გვარის შორეულს წარმომადგენელს უახლოვდებით, იმდენად ძალა და უფლება ხევის-ბერობისა ნელ-ნელა მცირდება, სისხლი ცოტად იურვება, ასე რომ სისხლი შადრევანსავით სჩქეფს ქვემოდამ ზემოდ და რაც მაღლა მიდის, უფრო ჩქეფა სუსტდება და ბოლოს ხომ ჰქრება კიდეც...

რაკი სულ პირველად ოჯახს ჰქონდა უპირატესობა, ამიტომ ყველაზედ დიდი სისხლი სდის იმ დამნაშავეს, რომელიც მოჰკლავდა ხევის-ბერის გაუყოფარს და მოახლეს (მოახლე—ახლო ნათესავი: მამა, ბიძა, ძმა, ძმისწული). დამნაშავეს უნდა გადაეხადა ექვსი ათასი თეთრი, და გარდა ამისა, ორ-წლობით გარდახვეწილიყო. რასაკვირველია, ერისთავი და გამგებელი, ჩვეულებისამებრ, ჩაიბარებდნენ გარდახვეწილის სახლს. ხევის-ბერის ოჯახს გარედ ხომ ის ღირსება და პატივი არ იპოვება, როგორიც თვით იმის ოჯახში. გაყრა, გაყოფა ისეთი გარემოებაა, რომელიც შესამჩნევად აცოტავებს და ამცირებს ხევის-ბერის განაყოფის ერთ-სისხლის კაცის (раздѣльный родственникъ) მოკვლას, სულ ერთია, განაყოფი მოკლული კაცი მეყვისია (შორეული ნათესავი), თუ მოახლე. თუ კი ერთ-სისხლის კაცი ცალკე ოჯახად გაეყრდოდა, მაშინ სისხლი ერთი-ორად უცოტავდებოდა, ასე რომ თუნდ ხევის-ბერის განაყოფი ძმაც მოგვეკლათ, ერთი-ორად ნაკლები სისხლი უნდა მიგვეცათ, ვიდრე გაუყოფარის ძმის მოკვლაში. ერთის სიტყვით, ხევის-ბერის ოჯახს განსხვავებული ღირსება აქვს და შედარებით ბევრი სისხლიც სდიოდა.

მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, ოჯახს გვერდით გვარი უდგია. გვარი, ერთ-სისხლობა ბუნებრივი კავშირია და ყველა პირვანდელს საზოგადოებას ეს კავშირი კანონად აღიარებული აქვს. საზოგადოებას ვინ-ღა იტყვის, ძველს დროში თითოეული სოციალური დაწესებულება ამ კანონს ექვემდებარება. ეს უნდა ითქვას ხევის-ბერობის შესახებაც. ხევის-ბერის დროშას გვარის თითოეული კაცი უნდა დაემორჩილოს, ერთ-სისხლის კაცებს იგი დროშა აკავშირებს, სულ ერთია, გვარის კაცი მეყვისია, თუ მოახლე. რადა?—თუმცა კანონი ამბობს ყველა ერთ სისხლიანი „დარბაზით დაყენებულს ხევის-ბერს ახლავანო“ (მუხ. ი), მაგრამ მარტო დარბაზის სანქცია აქ არაფერს შუაშია: ვიდრე დარბაზი ხევის-ბერს ყველა მონათესავეს „აახლებდა“, თვით ხევის-ბერობამ ყველა „იახლა“, იმიტომ-რომ ხევის-ბერი ბუნებით გვარის უფროსია, მეთაურია, წინამძღოლია. კანონმა დარბაზს მხოლოდ ის დაუსაკუთრა, რაც წინად ბუნებით ხევის-ბერს მინიჭებული ჰქონდა... და რომ ეს ჩვენი დედა-აზრი ნამდვილია და საზოგადო სოციალურს კანონზედ დამყარებული [35]), ამას შემდეგი ამტკიცებს:

საზოგადო მოელენაა, რომ რაც დრო და ჟამი მიდის, ერთ-სისხლობა სუსტდება, გვარი ირღვევა, იქსაქსება. ამ მიზეზის გამო იბადება განსხვავება „შორეულისა“ და „ახლოს“ შუა. ეს განსხვავება იურიდიულად სისხლის რაოდენობით იხატება: ახლო ნათესავის სისხლი მეტია, შორეულისა ნაკლები. ხშირად, თუ მუდამ არა, სისხლის დენა პროპორციალურად ქვემოდამ ზემოდ მიდის. როგორც უკვე შევნიშნეთ, სწორედ ძეგლის დებაც ამ გზას ადგია: მეყვისის სისხლი ნახევრით ნაკლებია მოახლის სისხლზე (მუხ. ი). მართალია, ნაჩვენები არ არის, სახელდობრ რამდენი ღირს ხევის-ბერის მეყვისის (შორეული ნათესავი) სისხლი, მაგრამ ანალოგიის დახმარებით შეიძლება გადაჭრით ვსთქვათ, რომ იგი სისხლი შეადგენდა ათას ხუთას თეთრს (შვიდ თუმან ნახევარს),—მოახლის სისხლის ნახევარს...

ჩვენ ვურჩევნეთ ორ ნაირი საფუძვე-

*) იხ. „ივერია“ №№ 261 და 264.

[35]) პირვანდელი სამხედრო წყობილება საგვარეულო წესზედ არის მოწყობილი და თვით სამხედრო კავშირიც უპირველესი კავშირია, Гербертъ Спенсеръ. „Развитiе политическихъ учрежденiй“, стр. 20, 53—55, 62 и пр.

რილში სწერს, რომ ფული ჩემთვის საჭირო იყო და ამიტომ აღარ გიგზავნით, მხოლოდ თქვენის შვილის წერილსა და ორს ფულის ბარათს, რომელიც წერილში ვიპოვნე, უკანვე გიბრუნებთო. ამას გარდა ჯიბგირი ბოდიშს იხდის ზმიოვის წინაშე, უკაცრავად, რომ ამ ბედნიერს დღეებში უფულოდ დაგტოვეთო. ახირებული ჯიბგირები მრავლდებიან ჩვენს ქალაქში!

** როგორც შევიტყვეთ, კუკიის მე-9 პოლიციის განყოფილების ბოქაულის თანაშემწედ ბ-ნის ვოლობუევის მაგიერ დაუნიშნავთ პოლიციის მესამე ნაწილის მოხელე ბ-ნი ლაზარევი.

** კვირას, ამ თთვის 10, ავლაბარში, მიკირტუმოვის სახლში, შემდეგი უბედურება დატრიალდა. ამ დღეს იმ ეზოში შევიდა პეტრე ნოვალოვი და როდესაც საჭიროების ალაგის ორმოზე გადაიარა, მიწა მოირღვა, ნოვალოვი ჩავარდა ორმოში და დაირჩო. ნოვალოვის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაიგზავნა, მხოლოდ პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბოძები, რომელიც ორმოს ჰხურებია, დიდის ხნის გამოუცვლელი და დამპალი ყოფილა.

** ორშაბათს, 11 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრებლის გეურქ ყარახანოვისა, რომელსაც მეწვრილმანეს გეურქ ეირანოვის მოკვლა ჰბრალდებოდა. ეს მკვლელობა წრეულს მოხდა «ნეაპოლის» სასტუმროში და იმისი ამბავი უკვე დაბეჭდილი გვქონდა კიდეც ჩვენს გაზეთში. სასამართლომ ყარახანოვს სამის წლით ტუსაღთა როტებში გაგზავნა გადუწყვიტა.

** გუშინდელს „ტფილისის ფურცელში“ შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი: ყალამქაროვის ნოქარს პარუნზევოვს დიდი უბედურება დაჰმართებია. ამ კაცს ერთი პირველის შინაგანის სესხის ბილეთი ჰქონია მაგრად შენახული. იჯდა თურმე და, გასათხოვარ ქალსავით, ბედს ელოდა. ბედმაც არ დაიგვიანა, თავისის წყალობის კალთა უხვად გადმოაბერტყა, მაგრამ ეს ამბავი პეტერბურგში მოხდა და პარუნზევოვი-კი ტფილისში იყო, სასახლის ქუჩაზედ, დუქნის მოგებას ანგარიშობდა და თავისის ბედნიერებისას აბა რას გაიგებდა. 11 დეკემბერს პარუნზევოვმა სახელმწიფო ბანკში იყიდა თურმე სია მომგებ ბილეთებისა იმ აზრით, რომ ვნახავ, ჩემის ბილეთის ამბავი ხომ არა არის-რაო. წარმოიდგინეთ იმის გაოცება, რომ, როგორც სიაში იყო ნათქვამი, იმის ბილეთს 1873 წ. ჰრგებოდა 200,000 მან. ეს ფული ათის წლის შემდეგ, ე. ი. 1883 წ., კანონისამებრ ხაზინის სასარგებლოდ დარჩენილიყო და იმან-კი ეს ამბავი მხოლოდ ამ 1889 წლის დამლევს შეიტყო. ამბობენ, ამ უბედურებამ ისე დააუძლურა საბრალო პარუნზევოვი, რომ ლოგინად ჩავარდაო.

** 9 დეკემბერს, საღამოს 10 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, შავერდოვისეულ ფარდულთან, პოლიციელმა იპოვნა სამის კვირის ყმაწვილი მამათა სქესისა, ფასებში გახვეული. ეს ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

** 12 დეკემბერს პოლიციის მე-9 ნაწილში ავსტრიის ქვეშევრდომმა ფრანჩიჩმა, რომელსაც სიმთვრალის გამო ანთება ჰქონდა, მოიწადინა თავის მოკვლა და დანით ყელი გაიჭრა. დაჭრილი საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

იძულებულ ვარ თქვენის გაზეთისავე საშუალებით გამოვაცხადო, რომ ძალიან ბევრი ცნობები, რომლებიც დაბეჭდილები იყო ივერიაში შესახებ ხადო ხანიკაშვილის დაჭერისა და ახალ-სოფლელ მწყემსების დამხოცველების აღმოჩენისა, მეტად უსაბუთო და უსაფუძვლონი იყვნენ.

ხადო ხანიკაშვილის დაჭერა არა მგონია მეტად თავ-გამოსაჩენი საქმე ყოფილიყოს, რომ გამარჯვებას ვინმე ვისმეს ეცილებოდეს, მაგრამ სიმართლეს და ჭეშმარიტებას მაინც თავისი გზა უნდა ჰქონდეს და სიცრუეს თავისი. როგორც თქვენი კორრესპონდენტი ამბობს, ურიადნიკი ლაზაევი ორი თთვე თურმე სდევნიდა ხანიკაშვილს და რაღა მაშინ მოახერხა დაჭერა, როდესაც მე მივედი? ხადო ხანიკაშვილი არც გავარდნილი იყო, არც გაქცეული, სრულიად თავისუფლად დასეირნობდა ჯავის ხეობაში და, თუ ორის თთვის განმავლობაში იგი ხელთ ვერ იგდეს, ეს პირდაპირ ურიადნიკების და ჩაფრების ბრალია, რომელნიც არა თუ ერთმანეთს ეხმარებოდნენ, არამედ ეცილებოდნენ ერთმანეთს, რადგან უდიდესს ჯილდოს მოელოდნენ.

ხადო ხანიკაშვილი დაიჭირეს ორმა ჩვრიევის საზოგადოების ოსებმა, რომლებიც ჩვრიევიდამვე ჩემგან იყვნენ გაგზავნილნი. ხანიკაშვილს არა გვარი ბრძოლა არ გაუწევია და არა თუ თოფი, დანაც არა ჰქონია. არ ვიცი თქვენში როგორ არის და ჩვენში-კი ისეა, რომ როდესაც უფროსი არის უმცროსთან, უკანასკნელი იმის მორჩილებასა და განკარგულებას ქვეშ არის. მაშასადამე, ურიადნიკს ლაზაევს უჩემოდ ფეხის გადადგმაც არ შეეძლო და, თუნდ სწორეთ იმას ხელდახელ დაეჭირა კიდეც, მაინც განკარგულება ჩემი იყო და უფროსი მე ვიყავ და არა ის. იმის მხრივ უფ. გუბერნატორთან ტელეგრამის მოწერა ამტკიცებს, რომ ხელი ყვეს მეტისმეტობას და იმას, რომ ურიადნიკმა ლაზაევმა სამსახური არ იცის.

შესახებ ახალ-სოფლელ მწყემსების დახოცვისა გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე თელავის მაზრისაკენ არც კვალი გამიტანია ავაზაკებისა და არც პირი მიქნია იქით[*]).

ტფილისის მაზრის მმართველი ლევან ჯანდიერი

[*]) ეს შეცდომა უკვე წინადვე აღიარა ჩვენმა გაზეთმა და გამოაცხადა კიდეც. რედ.

---

### II

თილვის ტაძრის განსაახლებლად მის ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ნებართვით დაარსებული კომიტეტი უგულითადესს მადლობას უძღვნის თავადთ ფალავანდიშვილებს, რომელთაც ზემოხსენებულის საგნისათვის შემოსწირეს თავიანთის საკუთარის ტყიდგან 80 ლატანი და დასახერხი ხე 30 ცალი, და მათ შორის თავადთ ალექსანდრე და გიორგი ფალავანდიშვილთ თითო თუმნის შემოწირვისათვის. კომიტეტის წევრებს სრული იმედი აქვთ, რომ სხვანიც მრავალნი მიჰბაძავენ თთ. ფალავანდიშვილების კეთილს მაგალითსა და შემწეობას აღმოუჩენენ კომიტეტს

წევრი კომიტეტისა თილვის ტაძრის მღვდელი ალექსანდრე ზედგინიძე

ქ. გორი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სპარსეთის გაზეთ „ახტარის“ („ვარსკვლავი“) ამ 20 ნოემბრის ნომერში ერთი ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი, რომელსაც ეწოდება „სპარსეთის კეთილდღეობის დასაწყისი“. წერილის დამწერი ამბობს: ამას წინანდელს ნომერში მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის მოგზაურობა გვქონდა აწერილი და ისიც დავძინეთ იმ მოგზაურობას, რომ ირანის მბრძანებელი მარტო გულის გასართობად და თავის სასიამოვნოდ-კი არ დადის აქეთ-იქით ქვეყნებში, არამედ იმიტომაც, რომ ევროპაში არსებული წესები ჰნახოს თავის თვალით და ამისდა გვარად შემდეგ სპარსეთსაც მოუტანოს სარგებლობაო. ჩვენი ნათქვამი მართლდება. როგორც თეირანელი კორრესპონდენტი გვატყობინებს, მის უდიდებულესობას შაჰს, რები-ულ-ავალის თთვის პირველ რიცხვს, დაუბარებია თავისთან მინისტრები და სიტყვა უთქვამსო. აი ეს სიტყვაც:

ჩემო პატივცემულო მინისტრებო! როდესაც ამას წინად ორჯელ ვიმოგზაურე ევროპაში, თქვენ ასე გეგონებოდათ, ვითომ მხოლოდ იმ ქვეყნების გეოგრაფიულად გაცნობისა და ან პირადის ჩემის სიამოვნებისათვის დავმრგვლიყავ ალაგიდგან. გეგონებოდათ, მაგრამ მე-კი უნდა გითხრათ, რომ სულ სხვა აზრი მქონდა: მე მინდოდა ჩემის თვალით მენახა და გამეცნო ევროპის მრეწველება და აგრეთვე შემესწავლა იქ შემოღებული წესრიგი, რომლის წყალობითაც ის სახელმწიფონი მშვიდობიანობითა და კეთილდღეობით სტკბებიან.

„მესამედ ჩემს გამგზავრებას-კი წრეულს სრულიად არაფერი აზრი არა ჰქონია, იმის მეტი, რომ საზოგადოდ გამეცნო იქაური კანონები და ჩვენს ქვეყანაშიაც შემომეღო. ამის გამო საჭიროდ ვსთვლი, რათა ფეხზედ დადგეს სპარსეთის კეთილდღეობა და მრეწველობა, ჩემს ერს ისეთი კანონი გავუჩინოთ, რომელიც ერთნაირად და ერთ გვარად სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, მდიდრისათვისაც და ღარიბისათვისაც. თქვენდა უკეთ დასარწმუნებლად, რომ ამ შემთხვევაში გულ-წრფელი სურვილი მამოქმედებს, იმ კანონს, რომელსაც თქვენ შეიმუშავებთ, პირველად

---

ლი ხევის-ბერობისა — საოჯახო და საგვარეულო (семейно - родовое начало) და აღვნიშნეთ, რომ სისხლის დენა ოჯახსა და გვარს მისდევდა. რასაკვირველია, აღნიშნულს საფუძველს, სისხლის საქმის გარდა, სხვაშიაც მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითებრ, ხევის-ბერობა ხომ «ლაშქართ თავადობა» იყო. როდესაც თითონ ხევისბერს ავადობის გამო სალაშქროდ გამოსვლა არ შეეძლო, „ლაშქრობის ჟამს მისი ძმა და მოახლე წავიდეს“ (მუხ. კ), ე. ი. ოჯახის შვილი, თუ არა-და — გვარის კაცი. მოხელეობა სავალდებულო იყო ოჯახისა და გვარისათვის, და თუ ხევის-ბერი უმიზეზოდ ჯარში არ გაიდოდა, მაშინ ხევის-ბერობასა და მამულს ჩამოართმევდნენ ერთის წლით.

საზოგადოდ მეფის დება სასტიკად სჯის ყველას, ვინც-კი უარს იტყოდა ლაშქრობაზედ. არც საკვირველია. სახელმწიფოსათვის ხშირად საჭირო იყო მთიულების განთქმული ვაჟკაცობა, გულადობა. მაგრამ მთიულს ერთი ნაკლიც სჭირდა: ურჩი იყო, გალაღებული და იქნება ხანდახან საერთო მტერსაც გულ-ცივად ეკიდებოდა. ამიტომაც მეფემა დააწესა, რომ თუ ვინიცობაა ხევი, სოფელი, ერისთავისა და გამგებლის სიტყვაზედ, სალაშქროდ არ გამოვიდეს, ყველა კომლს თითო ხარი წაართვით და ერთის წლით მამული სახელოდ დადეთო (მუხ. ით).

### VII

მართალია, ხევის-ბერს საკუთარი ციხე ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებული ციხის თავობაც არსებობდა. აქ საჭიროა ვიცოდეთ იურიდიული ბუნება ამ მოხელეობისა. რადგანაც ციხის თავის ასპარეზი მცირეა, ვიდრე ხევის-ბერისა, ამიტომ სისხლიც ცოტა სდის, მარტო სამი ათას ხუთასი თეთრი ეურვება; მაგრამ სისხლის დაურვებას გარდა, ჩვეულებისამებრ, სხვა სასჯელიც იყო: სამ წლით გარდახვეწა და მამულის წაღება. მხოლოდ გაკვრით და ისიც ორიოდე სიტყვით მოხსენებულია, რომ ციხის თაობაც საზოგადო მიმართულებას ადგა, ე. ი. ციხის თავის ოჯახსა და გვარს განსაკუთრებული ღირსება ჰქონდა. მაგალითად, ციხის თავის შვილისა ან ძმის მოკვლაში ათას ორასი თეთრი უნდა გადაეხადა დამნაშავეს, სამ წელიწადს გარდახვეწილიყო და მამული ხაზინას «ეჭამა» (შეადარე მუხ. იდ და ია). ესეთი სასჯელი გაჩენილი იყო ეგრედ წოდებულ ჰაეროვანისათვის, რომელიც იურიდიულად უბირს კაცზედ მაღლა სდგას, მაშასადამე, ციხის თავის შვილი და ძმა ღირსებით განირჩეოდნენ... მაშინაც-კი, როცა ციხის თავს თანამდებობა აღარ ებარა, მისი სისხლი მაინც ბევრი ღირდა — ათას ორასი თეთრი, სწორედ იმდენი, რაც ჰაეროვანს ჰქონდა დანიშნული.

ციხისთაობა სხვაა და ციხის ქონება კიდევ სხვა. ბევრს ჰქონდა საკუთარი ციხე, მაგრამ ციხისთავი კი არ იყო. ეს სახეში უნდა ვიქონიოთ, როცა მეფის დება ციხის დაქცევას მოგვითხრობს. ციხის დაქცევისათვის დამნაშავეს უნდა დაეურვა პატრონისათვის ნახევარი სისხლი „გვარსა ზედა“ და ციხეც ახალი აეგო (მუხ. კზ). მაგრამ ჩვენ ჰაეროვანს უნდა მივმართოთ.

საკუთრად და განსხვავებულად იხსენიება ჰაეროვანი, რომელიც ცალკე სდგას, არც ერთს მოხელეობას არ ასრულებს, მაგრამ მდაბიო ხალხისაგან-კი გაირჩევა. ჰაეროვანი თავისის სისხლით და მაშასადამე იურიდიულად აღემატება უბირს კაცსა, სოფლელსა — «სოფლიონსა», „ვინგინდავინას“. იგი როდი ნიშნავს „ერისკაცთაგანს“ — „изъ числа народа“, როგორც შეცდომით განმარტებს დიად ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე ჩვენის ისტორიისა[36]), არა, — ჰაეროვანი სწორედ „отличнѣйшій“-ია, რასაც უარს-ჰყოფს ბ-ნი დ. ბაქრაძე. ჯერ ერთი ისა, რომ სიტყვა „ჰაეროვნება“ ისეთს ცნებას შეიცავს, რომელიც ყველა კაცს არ მიეწერება[37]). გარდა ამისა, თვით მეფის დება, არა თუ მარტო იურიდიულად, პოლიტიკურადაც ჰაეროვანს მაღლა აყენებს უბრალო კაცზედ. მაგალითებრ, ძეგლის წინასიტყვაობაში პირდაპირ მოხსენებულია, რომ საზოგადო კრებაზედ, როცა სახელმწიფო საქმის შესახებ თათბირი იყო, მეფე ჰაეროვანთაც მოუწოდებდა ხოლმე — „მოვასხენით ყოველნი უნებურნი ხევის-ბერნი და ჰაეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“... „შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ (თუ შემოვიყვანეთ?) თემისა და თემის ერისთავნი და ხევის-თავნი და ხევის-ბერნი და ჰაეროვანნი“... ჰაეროვანს უფლება ჰქონდა სამეფო თათბირსა და ბჭობას დასწრებოდა და ამ უფლების ძალით გიორგი ბრწყინვალემ „ჰაეროვანნიც მოასხნა“. სიტყვა „ჰაეროვანი“ საზოგადოდ ერს რომ ნიშნავდეს, მაშინ ხომ მთლად მთიულების ჩამოყვანა იყო საჭირო სატახტო ქალაქს ტფილისში, მაგრამ მხოლოდ მოხელენი და „წარჩინებულნი“ შეჰკრიბეს და სწორედ ეს უკანასკნელნი იწოდებოდნენ ჰაეროვანებად.

თვით ჰაეროვანის იურიდიული თვისება უფრო მეტად ასაბუთებს ჩვენს აზრს. მართალია, მეფის დება, როცა ჰაეროვანს იხსენიებს და იმის სისხლს აფასებს, არ ხმარობს ჩვეულებრივს ფორმულას „გვარსა ზედა“, მაგრამ ამ ფორმულის გამოტოვება კიდევ იმას არ ამტკიცებს, ვითომ ჰაეროვანი უბრალო „სოფლიონი“ იყო და „ვინგინდავინა“. არა, — თვით მეფის სიტყვით, ჰაეროვანი სოფლიონს პირდაპირ უდგია და თუმცა სოფელში სცხოვრობს, მაგრამ სოფლიონი-კი არაა: როცა სოფელი სალაშქროდ არ გამოვიდოდა, სხვათა შორის, კომლზე თითო ხარი იყო ჯარიმა, — «ესე ჰაეროვნისა და სოფლიონისა იყოს» (მუხ. ით). ჰაეროვანი და სოფლიონი ცალ-ცალკე იხსენებიან და მაშასადამე კიდეც განსხვავდებიან. ამიტომაც ზოგიერთს შემთხვევაში ჰაეროვანი სახელმწიფო საბჭოს — დარბაზს ექვემდებარებოდა. როცა ჰაეროვანი ჰაეროვანს მოჰკლავდა... „თუ დარბაზისა ცნობისა ღირსი იყოს იგი ჰაეროვანი... დარბაზს იკითხონ“ (მუხ. ია). დარბაზს უბრალო კაცის, „სოფლიონისა“ ანუ „ვინგინდავინას“ საქმე როდი ეკითხებოდა და ეს არც მოხსენებულია. ამ გვარის კაცის დანაშაულობას ადგილობრივნი მოხელენი ჰბჯობდნენ. ასე განსინჯეთ, ჰაეროვანის ყველა დანაშაულებაც-კი არ ეკითხებოდა დარბაზს და მხოლოდ მძიმე საქმეს თუ მოახსენებდნენ.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[36]) ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე ამბობს, რომ სიტყვა „ჰაეროვანი“ უნდა გადაითარგმნოს „изъ числа народа“ და არა — „отличнѣйшій изъ народа“, Сбор. зак. Вахт., стр. 86, სხოლიო 1. მაშასადამე, ავტორს ჰგონია, რომ ჰაეროვანი „отличнѣйшій изъ народа“ არა ყოფილა.

[37]) როგორც საბა-სულხან ორბელიანი განმარტებს, სიტყვა „ჰაეროვნება“ ნიშნავს კ ე თ ი ლ - მ ო ხ დ ო მ ი ლ ე ბ ა ს.

მე დაემორჩილები და მე ავასრულებ დაუყოვნებლად“.

გაზეთი ამბობს შემდეგ, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის მეორე დღესვე საგანგებო კრება იქმნა დანიშნული, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შაჰის შვილმა, თეირანის გუბერნატორმა ნაიბე-სალტანემ, მთავარ-მინისტრმა ემინ-სულტანემ, უზენაესის საბჭოს თავმჯდომარემ ემინ-ედ-დაულემ, გარეშე საქმეთა მინისტრმა გავამ-ედდაულემ და სხვათა წარჩინებულთ. კრებას მიენდო შეადგინოს შაჰის მიერ დაპირებული კანონი და იქვე გადაწყვეტილ იქმნა, რომ ამ შესადგენ კანონის სახელმძღვანელოდ სპარსულს ენაზედ გადმოითარგმნოს აწ არსებული და მოქმედი კანონები ევროპის სამის სახელმწიფოსი: ინგლისისა, გერმანიისა და ოსმალეთისა. დასასრულ გაზეთი „ახტარი“ სამართლიანს სიხარულს ეძლევა ამ ამბის გამო და შაჰს ქებათა-ქების ლექსს უძღვნის.

**

ლონდონში დაუბეჭდიათ ამას წინად ორ წიგნად გამოკვლევა ჯორჯ კერზონისა: „რუსეთი შუა აზიაში 1889 წ. და ინგლის-რუსეთის საქმე“. ამ წიგნს ამას გარდა დართული აქვს თურმე რუკები და სურათებიც. ეს წიგნი წაუკითხავს „Кіевское Слово“-ს და მოკლედ გვიამბობს იმ ადგილს, სადაც ინგლისელი ავტორი სცდილობს განმარტოს, რა მიზეზით ვრცელდება რუსეთის გავლენა აზიაში ისე ადვილად და ძლიერადაო.

აზიაში რუსეთის დამკვიდრებასა და გაძლიერებას მოსდევს მონობის, ძარცვა-გლეჯისა და ძალ-მომრეობის გაუქმება, საუკეთესო წესებისა და ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის შემოღებაო, ამბობს თავისდა თავად კიევის გაზეთი. კერზონს ასეთი ცხადად გასაგები ვერ შეუგნია და უსერსულად სცდილობს დაამტკიცოს, რომ ვითომ-და თუ აზია ადვილად რუსდება, მხოლოდ იმიტომ-რომ თვით რუსნიც არც ზნეობრივად და არც კულტურით არაფრით აღემატებიან აზიელებსაო. იმის აზრით, აღმოსავლეთის ხალხის დაპყრობა აღმოსავლეთისავე ერის მიერ, იმ ერისა, რომელსაც იმისივე მონათესავე სასიათი აქვს, მხოლოდ რბილის ღითონისა ცოტა იმაზედ მაგარ ლითონთან შეერთებას შეედრება და ის-კი არ ითქმის, ვითომ წმინდა ელემენტს არაწმინდის ადგილი დაეჭიროსო... ცივილიზაციით აღჭურვილი ევროპა-კი არ გამოვიდა ბარბაროსულ აზიის დასაპყრობად, ჩვენის დროის ზნეობრივი და კულტურული ჯვაროსანთ ომი-კი არ იქმნა გამოცხადებული, არა, პირ-იქით, ბარბაროსული აზია, ევროპაში ნამყოფი, უკანვე დაუბრუნდა თავისს კვალს და თავისს ძველს საკუთრებასა თხოულობსო.

რასა თქმა უნდა, ასეთის აზრისათვის კიევის გაზეთი ხეირს არ აყრის ინგლისელს ჯორჯ კერზონს და კარგად ამკობს.

**

ჩვენი იმერეთის მცხოვრები მოძმენი მაშინაც არა თავისუფლდებიან თურმე გერბის ჯარიმის გადასახადისაგან, როდესაც ამ ქვეყნას საუკუნოდ სთმობენ, ესალმებიან სამუდამო განსასვენებლად ამ ცხოვრების ბოროტებისაგან და უბრუნდებიან წიაღსა აბრაამისასა. გაზ. „Кутаисскія Губернскія Вѣдомости“-ს ოფიციალურს განყოფილებაში ქუთაისის მმართველობის შემდეგი ახირებული 8324 №-ის მიწერილობაა დაბეჭდილი:

„ქუთაისის მაზრის სოფ. პატარაჯიხაიშის ნამცხოვრებლარს, აწ გარდაცვალებულს სამსონ ლუკას ძეს შალამბერიძეს, უნდა გადასდეს გერბის ჯარიმა 3 მან. 50 კაპ.

ძალიან საინტერესოა, ვის გაგზავნიან ნეტა შალამბერიძესთან ამ ფულის მისაღებად, რამდენს ხანს დაიგვიანებს გაგზავნილი და გზის ხარჯადაც რამდენი დასჭირდება?!

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი

ნაწილი მეორე

(შემდეგი *)

აპრილის კთ აეყარენით ჰალატყიდამ და ჩაველით ქუთაისს. აწ ვართ აქა, სამეფოსა პალატში. ივნისში მოგვივიდა ამბავი ისპეხტორის ტფილისში მოსვლისა და დავითის მემკვიდრეობიდამ გარდაყენების და კვალადვე ამბავი ისპეხტორის ისევ წასვლისა. აგვისტოს იდ წაველით გელათს, ღდესასწაულზე იქ დავყავით და მოველით კიდევ ქუთაისს. ამის წერას სექტემბრის 10 მოეყევ-დღეს ოკტომბრის ორი არის, რომ მოვაწიე, აქამდინ დავწერე. უფრო მალე დავწერდი, მაგრამ მეფის ძემ ფარნაოზმა მეორე ტომი ღვთის-მეტყველება მათხოვა, იმას ეკითხულობდი და ეს-კი დამრჩა.

წელიწადსა 1801 ქორონიკონს უპთ, ოკტომბრის 3, ამის წერა შევასრულე: ვიმყოფები აწ ქუთაისს, სამეფოს კარის საყდრის კარის ბჭეში, თქვენის ამდენის ხანის მოშორებით შეწუხებული. რაც მახსოვდა წარსული, თავსა ზედა ჩემსა ქმნილი საქმენი, ყოველივე ამას ზევით აღვწერე და შემდგომი უწყის ღმერთმან. შვილო შიო და გაბრიელ, ჩემი ამას ზევით რაც მწუხარება სწერია, ეს მიზეზი იყო და ახლაც იმერეთში გამოყოლა, ამდენ ხანს თქვენი მოშორება და აქ ყოფნა. ეს მიზეზი არის რომ თქვენთვის საბოლოო რიგიანი ბინა მანდა დამეგდო. ღვთით მომიმდეგა ვარ კიდევაც, თუ ვიცოცხლე, უბინაოდ არ გაგიშვათ. სანამდის იმერეთში გადმოვეყვებოდი ბატონიშვილს, მანამდინვე წიგნი მაქვს ნაბოძები. 1797 წელიწადს ქორონიკონს უპე მეორეთ, ანუ შუა აზნაურიშვილის შესაფერი ყმა და მამული ჩემგან მოგეცემა, გომიჯვარს საქმე აღარა გაქვსო. თარხნიშვილი რომ ექიდებოდა, იმ მიზეზით იქიდგან ხელი აიღებინა, პატივი და სისხლი შუა აზნაურიშვილისა უნდა გქონდესო. ჩემი ცდა ეს იყო, რომ ამისათვის სისრულე მიეცა, რომ თქვენ ამ პატივზედ და ამ ხარისხზედ დამყარებულიყავით, და ეხლაც ეს არის. ეს ნაბოძები წიგნი ხომ ადრინდელის სამსახურების მაგიერია, აქამდინ მამულსა და ყმაზედ კიდეც ვიდგებოდით, მაგრამ, როგორც ზევით დავწერე, არეული დრომ და ჟამმა არც ბატონი მოაცალა და არც მე მომაცალა. ოქმით ნაბოძებული მაქვს მამული. ღვთის მოწყალებით, იმედი მაქვს, რომ რუსეთის იმპერატორმა მოწყალებით მოჰხედოს და ბატონი ჩემი მეფის ძე იულონ ბედნიერებით საქართველოში გარდმოვიდეს. მაშინ ყოველსავე ყმასა, მამულსა და ჩვენს ბედნიერებასა სისრულე მიეცემა. ვინ უწყის, შვილნო, თუ ჩემის ცოდვით თქვენი ნახვა აღარ მეღირსოს, რადგან ამისთანას ადგილსა ვარ მიცემული, კაცი ვარ ხორცში მყოფი, რა ვიცი რა მეწიოს. ახლა ხომ არც ერთის ჭკუა და გაგება არა გაქვსთ, ყმაწვილები ხართ. სრულს ჰასაკში რომ მიაწიოთ, თუ ამ ჩემგან დაწერილმა თქვენთან მოაწიოს და ნახოთ ჩემი საქმე, ყოველივე ასე იუწყეთ: ყმა არა გრჩებათ, მამული და სხვა ასეთი რამ იმის გარიგება ანდერძად დაგიწერო, წიგნები დარჩება და ბარძიმ-ფეშხუმი. ეცადენით ეს წიგნები დაისწავლოთ, არ დაჰყიდოთ და უბრალოდ არ დაჰფანტოთ.

ჩემი დარიგება ეს არის, რომ რომელიც სარწმუნოება მიგიღიათ მართლმადიდებელი აღმოსავლის ეკკლესიისა, მაგაზედ მტკიცედ და შეურყეველად იყვნეთ. კეთილის საქმის მოგებით და სათნოების აღსრულებით თქვენი თავი შეიზღუდოთ. ეკკლესიის განწესებას ყოველსავე დაემორჩილენით. დედის თქვენის მორჩილებას ეცადენით და აღასრულეთ. ორი წერილი დები გყავთ, ღმერთმა რომ მშვიდობა მოგცესთ და დაიზარდნეთ, ეცადენით, რომ ეგენიც გაათხოვოთ, ან სამღვდელო კაცს მისცეთ და ან ხელოვნების რისამე მცოდნეს. მართალია, ჩემგან საბოლოვო-კი არა გრჩებათ რა, მაგრამ მეც ამას გევედრებით, რომ არ დამივიწყოთ და მომიგონებდეთ ხოლმე, წელიწადში ერთხელ შეგეძლოსთ თუ ორჯელ მიწირვინებდეთ. შვილო შიო, დედაჩემი, ბებიაშენი თამარი, დიდი მოამაგე იყო შენი. ღმერთმა რომ მშვიდობა მოგცეს, ნურც იმას დაივიწყებ მოგონებით და მოხსენებით. ასე გარწმუნებ, რომ იმას უფრო დიდი ამაგი აქვს ჩემგან შენზედ.

კიდევ ამას გევედრები, შვილო შიო, თუ ღმერთმან ინება და შეძლება მოგცა, რომ შენც სამღვდელოდ გაიზარდე და შენი ძმაც სამღვდელოდ გაზარდე, ხომ რა კარგი, თუ არა, შენ გონებასა და ჰასაკსა მალე მოხვალ, სიყრმეს მალე დაუტევებ. შენი ძმა გაბრიელ პატარა არის. მაგისას მაინც ეცადე, რომ სამღვდელოდ გაიზარდოს და მღვდლობა მიიღოს.

„ნუვეშინის მცემელო სულო წმიდაო, ნუ განმიყვანებ მე კერძოთაგან დღეთა ჩემთასა, არამედ წმიდა მყავ ყოვლისაგან ბიწისა და შემეწიე რაჲმეცა უმჯობეს იყოს აღსრულებად აღსვლისა მომართ ზენაჲსა სამეფოჲსა, რათა თაყვანს გცემდე თანა მამით და ძითურთ უკუნისამდე ამინ“.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 203, 204, 205, 253, 255 და 262.

---

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. 1 დეკემბრის კრებაზედ ავსტრიის რეიხსრატს ლაპარაკი მთავრობის მიერ წარდგენილ 1890 წლის დროებითის ბიუჯეტის შესახებ ჩამოუვარდა. დეპუტატმა შტეინვენდერმა, გერმანიის საერო დასის წევრმა, და ტიურკმა, ანტისემიტმა, გამოაცხადეს თავისის დასის სახელით, რომ ჩვენ ბიუჯეტის წინააღმდეგნი ვიქმნებით, რადგან არ მოგვწონს ის სისტემა, რომელსაც მთავრობა მისდევსო. შემდეგ პლენერის საპასუხოდ ილაპარაკა რიგერმა. ორატორმა სთქვა, რომ ჩეხიის ერი თავისთვის საპოლიტიკო მდგომარეობასა თხოულობს, ისეთს საპოლიტიკო მდგომარეობას, რომ ამ ერის რიცხვსა და მის მიერ დასახლებულ ადგილების სივრცეს შეეფერებოდესო. პლენემა სთქვა, რომ აწ არსებული კონსტიტუცია სულ არ უნდა შეიცვალოს და ხელ-შეუხებელი უნდა დარჩესო. პირ-იქით, კონსტიტუციის შეცვლა კანონიერის გზით ყოველთვის შესაძლებელია; ჩინელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამტკიცებდეს: კონსტიტუცია საუკუნოდ ხელ-შეუხებელი დარჩესო. ტყუილად უსაყვედურებენ გრაფ ტააფეს, რომ ჩეხთა ავტონომიას უწყობს ხელსაო. ტააფეს ამ ავტონომიის განსაუკეთესებლად არაფერი გაუკეთებია. სახელმწიფო უფლება ჩეხიაში გრაფ ტააფემდე არსებობდა და ეხლაც არსებობს. მემარცხენეთა დასის წევრთაგან რომ შესდგეს სამინისტრო, ისიც იძულებული იქნება პატივისცემით მოეპყრას უფლებას ჩეხიისას, იმიტომრომ ამ უფლების დასაცველად ექვსი მილიონი ჩეხი წამოდგება წინ. თუ 1879 წ. ჩეხები პარლამენტში დაბრუნდნენ, მხოლოდ იმიტომ დაბრუნდნენ, რომ იმედი ჰქონდათ მიცემული, თქვენი ავტონომია პატივცემული იქნებაო, და აკი თავის დაბრუნებით მთავრობას საჭირო ძალა და ღონეც შესძინეს. დასასრულ, რიგერმა შენიშნა, რომ ავსტრიისა და გერმანიის დაკავშირება ჩეხების რეიხსრატში დაბრუნებას მოჰყვაო. ჩეხები ბევრსა სცდილობდნენ სეიმში დაებრუნებინათ გერმანელები, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. იმათ ის არა ჰკმარათ, რომ ეხლანდელი კონსტიტუცია ჩეხების გაურევნელად და იმათ საზიანოდ დააარსეს და რომ საარჩევანო კანონი შეჰქმნეს, ისეთი კანონი, რომელიც უპირატესობას გერმანელებს აძლევდა, ეხლა იმასაც თხოულობენ, რომ ჩეხიაშიაც ჩვენ მოგვეცით უპირატესობაო, მაგრამ ეს შეუძლებელია. მლადო-ჩეხთა საპარლამენტო კლუბის მეთაურმა ენგელმა გამოაცხადა შემდეგ, რომ რაც სახელმწიფო უფლების საქმეს შეეხება, მლადო-ჩეხები სრულიად თანაუგრძნობენ სტარო-ჩეხებს და ოპოზიცია სცდება, თუ ჰგონია, ვითომ მათ შორის შეუთანხმებლობა და მოურიგებლობა ჰსუფევსო.

იტალია. გაზ. „Secolo“-ში უშველებელი წერილია დაბეჭდილი იმის დასამტკიცებლად, რომ იტალია კარგს იზამს, თუ სამთა კავშირს თავს დააღწევს, კვლავ აღარ ჩაერევა ამ საქმეში და ნეიტრალად დარჩებაო. იტალიამ სამთა კავშირში რომ აღარ მოიწადინოს ჩარევა, ამით სრულიადაც არ შეურაცხჰყოფს გერმანიას, თუ პირობას მისცემს, რომ შენი წინააღმდეგი არ ვიქნები საფრანგეთისა და გერმანიის საქმეშიო. ავსტრიას შინაც მეტად ბევრი დარდი და ვარამი აწუხებს და ამიტომ თავის მეზობლების მტრობისათვის ველარ მოიცლის. რაც შეეხება საფრანგეთს, იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ ძლიერს სახელმწიფოს ფიქრადაც არ მოუვა იტალიის თავდაცემა, თუ იგი სამთა კავშირს აღარ ედგება მხარში. საფრანგეთისა და იტალიის ერს არავითარი მიზეზი არა აქვთ ერთმანეთი სძულდეთ, პირ-იქით, ურთიერთზედ გულიც ენდობათ, რადგან ერთადა აქვთ ბრძოლის ველზედ სისხლი დაღვრილი. „საფრანგეთის ერიო, ამბობს გაზეთი: არასოდეს არ დართავს თავის მთავრობას იტალიის თავ-დაცემის ნებას, იმ იტალიისას, რომელსაც საფრანგეთმა თავის სისხლით შეუწყო ხელი და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაში დაეხმარაო“.

---

## წვრილი ამბები

აი იტალიის ეხლანდელ მინისტრ-პრეზიდენტის პირველ სიყვარულის შესახებ რა ამბავს სწერენ გაზეთები. კრისპი იურისპრუდენციასა სწავლობდა თურმე პალერმოში. სახლის პატრონის ოთხს ქალში ერთი ძალიან მოეწონა თურმე 18 წლის ყმაწვილ კაცს. როზინა 15 წლისა იყო, და არც ერთის მშობლები-კი ქორწინების თანახმანი არ იყვნენ. კრისპის მამამ შვილი პალერმოს უნივერსიტეტიდგან რიბერში წაიყვანა თურმე თავისთან. ყმაწვილი კაციც გაჰყვა, მაგრამ სატრფო მაინც არ დაივიწყებია. პირ-იქით, ისე ნაღვლობდა თურმე, რომ ავად შეიქმნა და მამამ თავის მამულში გაჰგზავნა. ეს ამბავი 1837 წელს იყო, როცა სიცილიაში ხოლერა გაჩნდა. პალერმოში ამ დროს დღეში 400—500 კაცი კვდებოდა თურმე. როზინას დარდი ისე აწუხებდა კრისპის, რომ გაპარვა მოიწადინა. როგორც იყო ცხენი იშოვნა და პალერმოში გაიქცა თურმე, არც ხოლერამ და არც მშობლების შიშმა არ შეაყენა. ოთხის დღის მოგზაურობის შემდეგ მივიდა თურმე ყმაწვილი კაცი სატასტო ქალაქში და კაი დროსაც მივიდა, რადგან როზინას ძმა და ორი და ხოლერას ემსხვერპლა. მშობლებს თავისი ვაჟიშვილი გაქცევის შემდეგ სულ დაღუპული ეგონათ, ბოლოს-კი მამამ როგორც იყო იპოვა, მაგრამ შვილის მუდარას ვეღარ გაუძლო და იმის ნება დართვით ღამაზი ყმაწვილი ქალი როზინა ფრანჩესკო კრისპის მეუღლე შეიქმნა. მაგრამ ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა თურმე და ორის წლის შემდეგ გარდაიცვალა როზინა. ერთის წლის შემდეგ კრისპიმ ერთი ყმაწვილი ქალი შეიყვარა, მაგრამ ამ ქალის მზრუნველი არ დათანხმდა მითხოვებას, თუმცა თვით ქალიც მოწადინებული იყო. შეყვარებული ქალი მონაზონად შევიდა დარდითდაუხლავცკი წინამძღვარიას მონასტრისა. როცა პაპის იუბილეი გადაიხადეს, ეს ქალი რომში იყო და თავის თვალით ნახა თურმე თავისი იდეალი — ბ-ნი კრისპი, რომელიც ამ ჟამად იტალიის პოლიტიკას ჰმეთაურობს.

— ამერიკის ერთს სასამართლოში ამას წინად ერთი ძალიან საყურადღებო საქმე გაურჩევიათ. საქმე აი რაშია: ვიღაც ხელოსანს ბევრი დაულევია ერთს სამიკიტნოში, მთვრალი გამოსულა იქიდგან, კარებზედ ფეხი წასცურებია, დაცემულა და იქვე სული გაუნთხევია. ამ კაცის ქვრივს მიკიტანზედ საჩივარი შეუტანია, კაი ძალს ფულსა სთხოვს თურმე და თავის თხოვნას იმითი ასაბუთებს, რომ ეგ არის ჩემის ქმრის მკვლელი, რადგან სასმელების დუქანი გაუმართავს და ხელს უმართავს სიმთვრალესაო. სასამართლომ ქვრივის საჩივარი სამართლიანად იცნო თურმე და მიკიტანს გადასახდევინა ფული იმის სასარგებლოდ.

— სამხრეთ საფრანგეთის ერთს პროვინციაში ახალგაზდა ქალს, გვარად ეაფელს, თხოვნა მიურთმევია მერისათვის,

რომ ნება დამრთეთ გვარი გამოვიცვალოო. ეს თხოვნა იმას გამოუწვევია, როგორც უმაწვილი ქალი ამბობს, რომ ვისთანაც-კი ვახსენებ ჩემს გვარს, ყველანი თავიდგან ფეხებამდე მათვალიერებენ. ასე ჰგონიათ, რომ თუ ასეთი გვარი დამრქმევია, უთუოდ მაღალის ტანის მიზეზით, ისეთის მაღალის ტანისა, რომ ცნობილს ეიფელის კოშკს ვგევარ რითიმეო.

— ბერლინში პროფესორი ვირხოვიც გამხდარა ავად ინფლუენციით. ეს ამბავი ამტკიცებს, რამდენად სინიდისიერად ასრულებენ უცხოელნი ყოველსავე თავისს მოვალეობას: უკანასკნელს ლექციაზედ ავადმყოფობის გამო ვირხოვს დაუგვიანდა თურმე. სტუდენტებს მოჰბეზრდათ ლოდინი და ფეხის ბრაგუნით დაიწყეს უსიამოვნების გამოცხადება, რომ პროფესორი აგერ ნახევარი საათია არსადა სჩანს და უბრალოზედ გვაცდევინებს და გვალოდინებსო. დასასრულ ქანცით მოვარდა თურმე პროფესორი და თვალი გადაავლო სტუდენტებს, რომელნიც ამ ერთის წუთის წინად დიდად უკმაყოფილონი იყვნენ ლექტორის დაგვიანებით. სამარებრივი სიჩუმე ჩამოვარდა და ვირხოვმა ჩვეულებრივად დაცინვის კილოთი ასე დაიწყო თურმე თავისი ლექცია: „მაპატიეთ, ბატონებო, რომ ინფლუენციით გავხდი ავად და ამის წყალობით დამაგვიანდაო“.

— დამოჟნის მოხელენი დიდის ეჭვით უცქერიან თურმე ტიურნიურიან ქალებს და კარგსაცა სჩადიან. ამას წინად ავსტრიის საზღვარზედ შეუყენებიათ სამი ლამაზად ჩაცმული უმაწვილი ქალი, რომელნიც იმითი იქცევდნენ თურმე განსაკუთრებულს ყურადღებას ადამიანისას, რომ უშველებელი ტიურნიურები ჰქონდათ გაკეთებული. როცა ამ უმაწვილ ქალების ტიურნიურები გაუსინჯავთ, შიგ ორასამდე ჯიბის საათი უპოვნიათ.

— „Figaro“-ში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რამდენია პარიჟში ამ ჟამად ხან-გადასულიდა გაუთხოვრად მოხუცებული ქალი. სულ ამისთანა ქალი 188,333-ია თურმე. ამ რიცხვში 146 ქალი 90—104 წლისაა, ექვსი 85 წლისანი და სხ. ამის შესახებ „Boulevard“-ი ამბობს, რომ ვისაც უნდა კიდევ ხან-გადასულის ქალის შერთვა, აჩქარდესო.

— პარიჟში ერთს სამოც-და-თვრამეტის წლის ქალს, რომელიც მოსამსახურედა მდგარა, ამას წინად ლატარიაში 50,000 მანეთი მოუგია. ამ ფულის მიღების მეორე დღე ამ მოხუცებულს დედაკაცს 60-მდე წერილი მიუღია, რომელსაც უმაწვილი კაცები სწერენ. წერილებში ნათქვამია, რომ მაგოდენა ფულს მარტო თქვენ ვერ მოუვლით, თქვენდა სამსახურად მზადა ვართ და არც იმაზედ ვიტყვით უარს, რომ... შეგირთოთ, თუ მოგვთხოვდებითო.

— პარიჟის ერთს გაზეთში ასე გონება-მახვილად არიან დახასიათებული ქალები: ქალი-უმაწვილი წყალია, 12—15 წლის ქალი — ლიმონადი, 18—25 წლისა — შამპანური ღვინო, 25—40 წლისა — ლიკიორი, 40—50 წლისა — აქაური გაკეთებული პორტვეინი, 50 და მეტისა-კი — დამჟავებული ღვინო, ხოლო ის სიდედრი, რომელიც ორმოც-და-ათს წელს გადასცილებია, ნამდვილი ძმარიაო.

# დეპეშა

13 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ ფინლიანდიის ჯარის ლეიბ-გვარდიის საპარაკლისო პარადზედ ხელმწიფე იმპერატორი არა ბრძანდებოდა. პოლკს კომანდირმა წაუკითხა მოსალოცი დეპეშები ხელმწიფე იმპერატორისა, რომელშიაც მისი უდიდებულესობა ჰბრძანებდა, რომ სამწუხაროდ, ავადმყოფობა ნებას არ მაძლევს პირადად მივულოცო ჯარსა და დღესასწაულს დავესწროო. 12 საათის დამლევს გატჩინოდგან მობრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა და ანიჩკინის სასახლეში საუზმე იყო გამართული, რომელზედაც საიმპერატორო გვარეულობის წევრნი და პოლკის აფიცრები დაესწრნენ. მემკვიდრე ცესარევიჩმა იმ პოლკების სადღეგრძელო დალია, რომელნიც თავისს დღეობასა დღესასწაულობდნენ.

გუშინ გენტონში, დღის $12^1/_2$ საათზედ გარდაიცვალა პროფესორი ბოტკინი.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტოს» სიტყვით, ბრიტანიის გარეშე საქმეთა მინისტრთან გაგზავნილი პასუხი პორტუგალიის მინისტრის გომესისა კარგად იქმნა მიღებული, რადგან ამ პასუხს აშკარად ეტყობა, რომ პორტუგალიას გულწრფელად განუზრახავს მშვიდობიანი მოლაპარაკება იქონიოს ინგლისთანაო.

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი იმის შესახებ, თუ რა ზომის გარდასახადი უნდა იქმნას დადებული საქალაქო უძრავს ქონებაზედ 1890 წ.

ჩარჯუი. ავღანისტანიდგან იუწყებიან, რომ ავღანის თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ, გაქცეულ ისხააკ-ხანის მაგიერად, დანიშნულ იქნება ბაბიდულ-ხანი, ახლო ნათესავი აბდურახმანისაო. ამ თანამდებობის კანდიდატი ჰოლამ-ჰაიდერი ინიშნება მთელის ავღანის ჯარის მთავარ-მართებლად. გენერალი ჰოლამ ჰაიდერი მშვენიერი სტრატეგოსია და იმის ამ თანამდებობაზედ ძალიან მოწადინებულნი არიან ინგლისელები.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ამბავი მოსვლია: მარკიზ სალისბერი თავისს ნოტით თხოულობდა, რომ დაუყოვნებლივ იქმნას უკან ვე გამოხმობილი სერპა-პინტო, თუ ვინიცობაა ის ამბავი, ვითომ მოკოლოლოსებს თავს დაეცა, მართალ გამოდგაო. პორტუგალიის პირველმ მინისტრმა უპასუხა, რომ სერპა-პინტო-კი არ დაეცა ბრიტანიის ბაირალ მხოლოდ თავს დასხმული მოწინააღმდეგე ტომი მოიგერია და ამ ტომი ბარგში ბრძოლის შემდეგ, სამი ბრიტანიის ბაირაღი აღმოჩნდაო. მთავრობა ამ ახლო ხანებში მოელის ა... რეთვე დანარჩენს წვლილს ამ საქმესას.

პეტერბურგის ბირჟა, 12 დეკემბ.

| | მყიდველ-თა. მან. კ. | გამყიდველ-თასა. მან. კ. | გაყიდულ-თასა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 47 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | $148^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | $254^1/_2$ | — „ | — „ |
| — მეორისა . . . . . | $229^1/_2$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | $3^1/_2$ | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | |
| ჯვარის მამის პურის ლხავში 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

на 1890 годъ
открыта подписка
на
НОВЫЙ ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

12 ТОМОВЪ переводныхъ романовъ, повѣстей, разсказовъ и т. п.

320 страницъ въ каждомъ томѣ

3 НА ГОДЪ съ доставкой и пересылкой повсемѣстно. Руб.

ДЕШЕВАЯ БИБЛІОТЕКА

Иностранная изящная литература чрезвычайно богата. Русская публика очень интересуется ею, но слѣдить за ея современнымъ состояніемъ по переводамъ, разсѣяннымъ въ существующихъ изданіяхъ, трудно и дорого.

Заполнить этотъ пробѣлъ, т. е. облегчить русской читающей публикѣ знакомство съ лучшими беллетристическими произведеніями всѣхъ странъ и народовъ, дать возможность каждому, притомъ за крайне дешевую цѣну, составить себѣ хорошую библіотеку выдающихся иностранныхъ беллетристовъ — вотъ цѣль настоящаго изданія.

ДЕШЕВАЯ БИБЛІОТЕКА будетъ помѣщать на своихъ страницахъ только такія произведенія, которыя съ удовольствіемъ могутъ быть прочитаны въ каждой образованной семьѣ.

Издатель, стоящій во главѣ одной изъ обширныхъ московскихъ типографій, имѣетъ всѣ средства сдѣлать изданіе вполнѣ изящнымъ не только по внутреннему содержанію, но и по внѣшности.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СЪ ДОСТАВКОЮ И ПЕРЕСЫЛКОЮ ПОВСЕМѢСТНО:

На годъ 3 рубля.

1 Р. 50 К. на полгода съ доставкой и пересылкой.

Адресъ редакціи: Москва, Петровка, Рахмановскій пер., д. Левенсонъ. Отдѣленіе конторы редакціи: Москва, Кузнецкій Мостъ, магазинъ „НАЧАЛЬНАЯ ШКОЛА“ Е. Н. Тихомировой. Гг. иногородные благоволятъ обращаться ИСКЛЮЧИТЕЛЬНО въ контору редакціи.

Редакторъ-издатель А. А. ЛЕВЕНСОНЪ.

(3—1)

ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვეით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი — თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა, — ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა, — სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.